შპს „ფულ ჰაუსი“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 6
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 14
5. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) 15
6. ძირითადი საშუალებები 16
7. არამატერიალური აქტივები 17
8. სავაჭრო მოთხოვნები 17
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 18
10. საკუთარი კაპიტალი 18
11. საიჯარო ვალდებულებები და აქტივები გამოყენების უფლებით 18
12. წარმოებული ფინანსური ვალდებულებები 20
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 20
14. წინასწარ გადახდილი გადასახადები 20
15. ამონაგები და შემოსულობები 20
16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 21
17. მარკეტინგის ხარჯი 21
18. სახელფასო ხარჯები 21
19. სალიცენზიო, აზარტულ თამაშთან დაკავშირებული და მარეგულირებლის ხარჯები 21
20. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 22
21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა 22
22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 25
23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 25
24. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები 26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფულ ჰაუსის“ მფლობელებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ფულ ჰაუსის“ (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *„აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (ბესსს-ის კოდექსი) შესაბამისად, რომელიც ვრცელდება საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე, და ასევე იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში საზოგადოებრივი დაინტერესების პირების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს. ჩვენ ამასთანავე შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

Building a better working world

კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებლებია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Building a better working world

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სამეურნეო ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

Building a better working world

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2026 წლის 31 ივლისი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

		2025 წლის 31 დეკემბერი		*2024 წლის 31 დეკემბერი*	
	შენიშვნა	*ინდივიდუალური*	*კონსოლიდირებული*	*ინდივიდუალური*	*კონსოლიდირებული*
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	6	6,364	6,364	6,212	6,212
არამატერიალური აქტივები	7	10,651	10,651	7,639	7,639
აქტივის გამოყენების უფლება	11	6,227	6,227	2,378	2,378
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში		2,539	–	–	–
გაცემული სესხები		–	1,715	–	–
შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები		260	455	260	260
სულ გრძელვადიანი აქტივები		26,041	25,412	16,489	16,489
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები		2,060	2,060	449	449
სავაჭრო მოთხოვნები	8	8,580	8,587	7,617	7,617
წინასწარ გადახდილი გადასახადები	14	–	6	1,291	1,291
გადახდილი ავანსები		2,978	2,978	1,701	1,701
წინასწარ გადახდილი სალიცენზიო და აზარტული თამაშობების მოსაკრებელი		1,224	1,239	1,220	1,220
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	146,455	146,568	78,052	78,052
სულ მოკლევადიანი აქტივები		161,297	161,438	90,330	90,330
სულ აქტივები		187,338	186,850	106,819	106,819
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	10	195	195	195	195
გაუნაწილებელი მოგება		134,987	134,440	78,826	78,826
სულ საკუთარი კაპიტალი		135,182	134,635	79,021	79,021
გრძელვადიანი ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	11	3,593	3,593	2,119	2,119
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,593	3,593	2,119	2,119
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	36,587	36,646	22,672	22,672
საიჯარო ვალდებულებები	11	3,266	3,266	562	562
საგადასახადო ვალდებულებები		3,373	3,373	–	–
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	12	314	314	223	223
მომხმარებელთა ნაშთები		5,023	5,023	2,222	2,222
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		48,563	48,622	25,679	25,679
სულ ვალდებულებები		52,156	52,215	27,798	27,798
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		187,338	186,850	106,819	106,819

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 ივლისს.

გია დუმბაძე

დირექტორი

5-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

		2025 წლის 31 დეკემბერი		*2024 წლის 31 დეკემბერი*	
	შენიშვნა	*ინდივიდუალური*	*კონსოლიდირებული*	*ინდივიდუალური*	*კონსოლიდირებული*
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	6	6,364	6,364	6,212	6,212
არამატერიალური აქტივები	7	10,651	10,651	7,639	7,639
აქტივის გამოყენების უფლება	11	6,227	6,227	2,378	2,378
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში		2,539	–	–	–
გაცემული სესხები		–	1,715	–	–
შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები		260	455	260	260
სულ გრძელვადიანი აქტივები		**26,041**	**25,412**	**16,489**	**16,489**
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები		2,060	2,060	449	449
სავაჭრო მოთხოვნები	8	8,580	8,587	7,617	7,617
წინასწარ გადახდილი გადასახადები	14	–	6	1,291	1,291
გადახდილი ავანსები		2,978	2,978	1,701	1,701
წინასწარ გადახდილი სალიცენზიო და აზარტული თამაშობების მოსაკრებელი		1,224	1,239	1,220	1,220
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	146,455	146,568	78,052	78,052
სულ მოკლევადიანი აქტივები		**161,297**	**161,438**	**90,330**	**90,330**
სულ აქტივები		**187,338**	**186,850**	**106,819**	**106,819**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	10	195	195	195	195
გაუნაწილებელი მოგება		134,987	134,440	78,826	78,826
სულ საკუთარი კაპიტალი		**135,182**	**134,635**	**79,021**	**79,021**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	11	3,593	3,593	2,119	2,119
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**3,593**	**3,593**	**2,119**	**2,119**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	36,587	36,646	22,672	22,672
საიჯარო ვალდებულებები	11	3,266	3,266	562	562
საგადასახადო ვალდებულებები		3,373	3,373	–	–
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	12	314	314	223	223
მომხმარებელთა ნაშთები		5,023	5,023	2,222	2,222
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**48,563**	**48,622**	**25,679**	**25,679**
სულ ვალდებულებები		**52,156**	**52,215**	**27,798**	**27,798**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**187,338**	**186,850**	**106,819**	**106,819**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 31 ივლისს.

გია დუმბაძე

დირექტორი

5-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

		2025		*2024*	
	შენიშვნა	*ინდივიდუალური*	*კონსოლიდირებული*	*ინდივიდუალური*	*კონსოლიდირებული*
ამონაგები და შემოსულობები	15	454,028	454,028	388,037	388,037
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	16	(234,954)	(234,954)	(189,582)	(189,582)
საერთო მოგება		**219,074**	**219,074**	**198,455**	**198,455**
სხვა შემოსავალი	15	16,519	16,519	12,886	12,886
მარკეტინგის ხარჯი	17	(18,218)	(18,218)	(11,437)	(11,437)
სახელფასო ხარჯები	18	(26,342)	(26,342)	(19,677)	(19,677)
სალიცენზიო, აზარტულ თამაშთან დაკავშირებული და მარეგულირებლის ხარჯები	19	(6,081)	(6,081)	(5,134)	(5,134)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	20	(3,738)	(3,869)	(2,518)	(2,518)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,359)	(2,820)	(1,632)	(1,632)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები ცვეთამდე და ამორტიზაციამდე		**(40,219)**	**(40,811)**	**(27,512)**	**(27,512)**
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,11	(6,937)	(6,937)	(6,608)	(6,608)
საოპერაციო მოგება		**171,918**	**171,326**	**164,335**	**164,335**
ფინანსური შემოსავალი	9	12,329	12,330	5,293	5,293
ფინანსური დანახარჯები	11	(321)	(321)	(230)	(230)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,413	1,413	616	616
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი), წმინდა		(231)	(187)	(94)	(94)
დასაბეგრი მოგება		**185,108**	**184,561**	**169,920**	**169,920**
მოგების გადასახადის ხარჯი	14	–	–	–	–
წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**185,108**	**184,561**	**169,920**	**169,920**

5-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	*გაუნაწილებელი მოგება*	*მთლიანი საკუთარი კაპიტალი*
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**195**	**35,222**	**35,417**
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	169,920	**169,920**
დივიდენდები (მე–10 შენიშვნა)	–	(126,316)	**(126,316)**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**195**	**78,826**	**79,021**
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	185,108	**185,108**
დივიდენდები (მე–10 შენიშვნა)	–	(128,947)	**(128,947)**
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**195**	**134,987**	**135,182**

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	*გაუნაწილებელი მოგება*	*მთლიანი საკუთარი კაპიტალი*
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**195**	**35,222**	**35,417**
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	169,920	**169,920**
დივიდენდები (მე–10 შენიშვნა)	–	(126,316)	**(126,316)**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**195**	**78,826**	**79,021**
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	184,561	**184,561**
დივიდენდები (მე–10 შენიშვნა)	–	(128,947)	**(128,947)**
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**195**	**134,440**	**134,635**

5-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

		2025		2024	
	შენიშვნა	ინდივიდუალური	კონსოლიდირებული	ინდივიდუალური	კონსოლიდირებული
საოპერაციო საქმიანობა					
დასაბეგრი მოგება		185,108	184,561	169,920	169,920
კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად					
ცვეთა და ამორტიზაცია		6,937	6,937	6,608	6,608
ძირითადი საშუალებების, აქტივის გამოყენების უფლების და არამატერიალური აქტივების გასვლასთან დაკავშირებული (შემოსულობა)/ზარალი		(851)	(851)	5,060	5,060
ფინანსური შემოსავალი		(12,329)	(12,330)	(5,293)	(5,293)
ფინანსური დანახარჯები		321	321	230	230
საკურსო სხვაობები, წმინდა		231	187	(94)	(94)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		**179,417**	**178,825**	**176,431**	**176,431**
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები					
ცვლილება მარაგებში		(1,611)	(1,611)	(6)	(6)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(947)	(954)	1,896	1,896
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(1,277)	(1,277)	671	671
წინასწარ გადახდილი სალიცენზიო და აზარტული თამაშობების მოსაკრებლის ცვლილება		(4)	(19)	(655)	(655)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებაში		4,278	4,658	1,251	1,251
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		13,746	13,946	12,110	12,110
ცვლილება მომხმარებელთა ნაშთებში		2,801	2,801	(1,425)	(1,425)
ცვლილება წარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებში		91	91	(36)	(36)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე		**196,494**	**196,460**	**190,237**	**190,237**
მიღებული პროცენტი	9	12,329	12,330	5,293	5,293
გადახდილი პროცენტი	11	(321)	(321)	(230)	(230)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**208,502**	**208,469**	**195,300**	**195,300**
საინვესტიციო საქმიანობა					
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(2,159)	(2,159)	(4,725)	(4,725)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(5,496)	(5,496)	(11,832)	(11,832)
გაცემული სესხები		–	(1,648)	–	–
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში		(1,990)	–	–	–
შეზღუდული წვდომის ფულად (სახსრებში გადატანა)/ სახსრებიდან გადატანა		–	(195)	16	16
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(9,645)**	**(9,498)**	**(16,541)**	**(16,541)**
საფინანსო საქმიანობა					
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილის გადახდები	11	(1,422)	(1,422)	(1,641)	(1,641)
გადახდილი დივიდენდები	10	(128,947)	(128,947)	(126,316)	(126,316)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(130,369)**	**(130,369)**	**(127,957)**	**(127,957)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**68,488**	**68,602**	**50,802**	**50,802**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	9	78,052	78,052	27,128	27,128
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(85)	(86)	122	122
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	**146,455**	**146,568**	**78,052**	**78,052**

5-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ფულ ჰაუსი“ („კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ განმარტების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ატენის ქ. 16ა, ხოლო კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405143303.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებებს. კომპანია 100%–იან წილს ფლობს საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „სოფტმასტერში“, რომელიც არის აზარტული თამაშობების #143633 ლიცენზიის მქონე საწარმო (კიურასაოს კანონმდებლობის თანახმად). 2024 წლის 3 ოქტომბერს კომპანიამ უზბეკეთის რესპუბლიკაში დააფუძნა უცხოური საწარმო „ფულ ჰაუს გლობალი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით, 100%–იანი მონაწილეობის წილით. 2025 წლის განმავლობაში ჯგუფმა დააფუძნა შემდეგი შვილობილი საწარმოები: Crocobet Romania S.R.L. (100%), Malta IP Management Group Limited (100%), Crocobet Digital d.o.o., სერბეთი (100%) და Full House Management Group Sp. z o.o., პოლონეთი 95%. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის შვილობილი საწარმოები ასე გამოიყურებოდა:

შვილობილი საწარმო	*საკუთრების წილი, %*	*დაფუძნების წელი*	*ქვეყანა*	*ძირითადი საქმიანობა*
Softmasters N.V.	100%	2017	კიურასაო	აზარტული თამაშობებისა და ფსონების საქმიანობა
Full House Global FE LLC	100%	2024	უზბეკეთი	დაფუძნების შემდეგ საქმიანობა არ დაუწყია
Crocobet Romania S.R.L.	100%	2025	რუმინეთი	აზარტული თამაშობებისა და ფსონების საქმიანობა
Malta IP Management Group Limited	100%	2025	მალტა	ჰოლდინგური კომპანიის საქმიანობა
Crocobet Digital d.o.o.	100%	2025	სერბეთი	აზარტული თამაშობებისა და ფსონების საქმიანობა (საქმიანობა არ დაწყებულა)
Full House Management Group Sp. z o.o.	95%	2025	პოლონეთი	ჰოლდინგური კომპანიის საქმიანობა

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ონლაინ აზარტული თამაშობებია. ჯგუფის მთავარი პროდუქტებია: ონლაინ სლოტები, ონლაინ ტოტალიზატორი, ონლაინ სამორინე და პირინგული თამაშები. ჯგუფი თავის მომხმარებლებს ონლაინ თამაშის პლატფორმას სთავაზობს ვებგვერდის: www.crocobet.com მეშვეობით და ფუნქციონირებს საფირმო სახელწოდებით „კროკობეთი“. ჯგუფი ამუშავებს ონლაინ სეგმენტს ფიზიკური სლოტ კლუბისა და ტოტალიზატორის მეშვეობით. 2023 წლის 22 დეკემბერს შემოსავლების სამსახურმა გასცა ნებართვა ფიზიკური ტოტალიზატორისა და კაზინოს მოწყობაზე ქალაქ წყალტუბოში, ტაბიძის 1–ში. იმავე დღეს, გაუქმდა ქალაქ ჭიათურაში, ნინოშვილის 5–ში ადრე გაცემული ნებართვები.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინფორმაცია კომპანიის მესაკუთრეების შესახებ ასე გამოიყურებოდა:

მფლობელები	*2025 წ. საკუთრების წილი, %*	*2024 წ. საკუთრების წილი, %*
თემურ მიქელაძე, საქართველოს მოქალაქე	35.00%	35.00%
ნორბერტ ფრანც ტეუფელბერგერი, ავსტრიის მოქალაქე	16.67%	16.67%
გიგი ლევი–ვაისი, ისრაელის მოქალაქე	16.67%	16.67%
მანფრედ ბოდნერი, ავსტრიის მოქალაქე	16.66%	16.66%
კლაუს ჯემალ რასმუსენი, დანიის მოქალაქე	2.50%	2.50%
მიჰალი გლოვაცკი	2.50%	2.50%
გურამ დოლიძე, საქართველოს მოქალაქე	2.50%	2.50%
ზურაბ ერქომაიშვილი, საქართველოს მოქალაქე	2.50%	2.50%
ბაკურ ხარჩილავა, საქართველოს მოქალაქე	2.50%	2.50%
გიორგი ბარნაბიშვილი, საქართველოს მოქალაქე	2.50%	2.50%
	100.00%	**100.00%**

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოცემული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, წარმოებული ინსტრუმენტების გარდა, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“) თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდზე ვრცელდება და მას თანმიმდევრულად იყენებს ჯგუფი.

ა) ამონაგები და შემოსულობები

ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს ონლაინ თამაშებს: სლოტებს, სამორინეს, პირინგულ თამაშებს და ტოტალიზატორს. ჯგუფი ასევე ფლობს ფიზიკურ სლოტ კლუბსა და ტოტალიზატორს.

ჯგუფის აზარტული თამაშობების საქმიანობა კლასიფიცირდება, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, იმ პროდუქტების გამოკლებით, რომლებზეც მიიღება საკომისიო შემოსავალი. ეს წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამონაგების მუხლში, ვინაიდან ის ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება ამონაგებში, ისევე, როგორც უკვე დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი.

ამონაგები პირინგული თამაშებიდან და სხვა ამონაგები

ვინაიდან ჯგუფს პირინგული თამაშებიდან ამონაგებზე უფლება უჩნდება მაშინვე, როგორც კი მომხმარებელი თამაშს იწყებს, რეიქის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, ყოველი ხელის თამაშისას.

ზოგადი საქმიანობიდან ამონაგები შედგება მომხმარებელთა ოპერაციების საკომისიოსგან და პირინგული გადარიცხვებიდან მიღებული საკომისიოსგან. ვინაიდან კონტროლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ახორციელებს ოპერაციას ან პირინგულ გადარიცხვას, ამონაგების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, დროის ამ მომენტში.

შემოსავალი პირინგული (P2P) თამაშებიდან არ ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას, გარდა ნარდისა, რომლის შემოსავალი აღიარდება დღგ–ის გარეშე.

ამონაგები სამორინიდან

ამონაგები ონლაინ სამორინე თამაშებიდან წარმოადგენს წმინდა მოგებულ თანხას, რაც არის ფსონად ჩამოსულ თანხას გამოკლებული მომხმარებლის მოგება, და აღირიცხება პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა წამახალისებელი აქციის გამოკლებით. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება ამონაგებში, ისევე, როგორც უკვე დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი.

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ა) ამონაგები და შემოსულობები (გაგრძელება)

ამონაგები სლოტებიდან და ტოტალიზატორიდან

ამონაგები სლოტებიდან და ტოტალიზატორის საქმიანობიდან წარმოადგენს წმინდა შემოსულობას ან ზარალს პერიოდის განმავლობაში ფსონების დადების საქმიანობიდან და აღირიცხება პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა წამახალისებელი აქციის გამოკლებით. ჯგუფის ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. ეს წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამონაგების მუხლში, ვინაიდან ის ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება ამონაგებში, ისევე, როგორც უკვე დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი. წამახალისებელი აქციები გამოიქვითება ტოტალიზატორის და სლოტების ამონაგებიდან.

გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს პირდაპირ ცვლად დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ამონაგების წარმომქმნელ საქმიანობასთან და, ძირითადად, მოიცავს თამაშის პროვაიდერის ხარჯებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადს, ტოტალიზატორის გადასახადს, აზარტული თამაშობებიდან საერთო ამონაგებზე („GGR“) საგადასახადო ხარჯს და მომხმარებლის გადახდის დამუშავების საკომისიოებს. გაყიდული საქონლის თვითღირებულება არ მოიცავს სახელფასო, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს.

ბ) ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ჯგუფის ფინანსურ შემოსავალში და ფინანსურ დანახარჯებში შედის:

- საპროცენტო შემოსავალი ინვესტირებულ სახსრებზე;
- საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით მოგებაში ან ზარალში მისი დარიცხვისას.

სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე ან ფინანსურ შემოსავლად, ან ფინანსურ დანახარჯებად, იმისდა მიხედვით, სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა წმინდა შემოსულობის თუ წმინდა ზარალის პოზიციას განაპირობებს.

გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით აღირიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და მოწყობილობები	5
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5–7
სხვა აღჭურვილობა	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების 3–დან 7 წლამდე საშუალო ვადაზე.

ე) უცხოური ვალუტები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში – ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა, ვინაიდან ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებს კომპანია თავდაპირველად აღრიცხავს ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

ვ) გადასახადები

ტოტალიზატორის გადასახადი

ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება ტოტალიზატორის 7%–იანი გადასახადით, ასეთი საქმიანობიდან მიღებული საერთო შემოსავლის (ანუ მიღებული ფსონების) საფუძველზე. ტოტალიზატორის გადასახადი აღირიცხება გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნაწილში.

აზარტული თამაშობებიდან საერთო ამონაგების დაბეგვრა

საერთო ამონაგები აზარტული თამაშობებიდან (GGR) არის სხვაობა მიღებული ფსონების რაოდენობასა და ონლაინ სამორინეების მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის. წარმოქმნილი GGR ექვემდებარება GGR გადასახადით დაბეგვრას. 2025 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, სისტემურ–ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების მომწყობი პირებისთვის მოგების გადასახადის განაკვეთი 15 პროცენტის ნაცვლად განისაზღვრა 20 პროცენტით და აღირიცხება გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნაწილში. ონლაინ ტოტალიზატორისა და ონლაინ სამორინეს საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შემდგომი განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების გადასახადები

2024 წლის 1 დეკემბრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობით სისტემური–ელექტრონული აზარტული თამაშებისა და ფსონების საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება 5%–იან GGR გადასახადს (რომელიც ცვლის წინა 15%–იან გადასახადს აზარტულ თამაშებზე და 7%–იან გადასახადს ფსონებზე), ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სათამაშო ანგარიშებიდან თანხების გამოტანა გადასახადისგან თავისუფალია.

მოთამაშეებზე გაცემული მოგების დაბეგვრა

აზარტული თამაშობის სისტემურ–ელექტრონული ფორმით მომწყობი პირი, რომელიც მოთამაშეზე სისტემურ–ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გასცემს თანხას, ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტისთვის გათვალისწინებული ვალდებულებები. ამ შემთხვევაში, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი არის მოთამაშის მიერ სისტემურ–ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გამოტანილი თანხა, ხოლო საგადასახადო განაკვეთი არის (2024 წელს: 5%). ამ თანხების აღიარება ხდება სხვა საოპერაციო შემოსავალში, ფულის გატანაზე დარიცხული საკომისიოს დაბეგვრის გამოკლებით.

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვ) გადასახადები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

თამაშის მომსახურების მომწოდებლებისგან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ამრიგად, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგებაში ან ზარალში, გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, თამაშის მომწოდებლის ხარჯების ნაწილში.

თამაშების მოსაკრებელი (სალიცენზიო და აზარტულ თამაშთან დაკავშირებული ფიქსირებული ხარჯები)

საქართველოს კანონი „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ ითვალისწინებს სანებართვო გადასახადის დაკისრებას აზარტული თამაშობების კომპანიებისთვის. მოსაკრებლის ობიექტია:

- სამორინის მოწყობა;
- სლოტ კლუბის მოწყობა;
- ტოტალიზატორის მოწყობა;
- წამახალისებელი გათამაშების მოწყობა.

„სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თანახმად, 2024 წლის 1 ივნისიდან გადაისინჯა ყველა აზარტული თამაშობის საქმიანობისთვის, გარდა წამახალისებელი გათამაშებების მოწყობისა, მოქმედი სალიცენზიო მოსაკრებლები.

გასამრჯელოების აღიარება ხდება ლიცენზიასა და აზარტულ თამაშობებზე გაწეული დანახარჯების სახით კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ზ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ვალდებულების პირობები, რომლებმაც, კონტრაჰენტის სურვილის შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიონ მისი დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით, არ ახდენს გავლენას მის კლასიფიკაციაზე.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი მოკლევადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და, ძირითადად, შედგება საკრედიტო დაწესებულებებისა და ელექტრონული გადახდების კომპანიების მიმართ მოთხოვნებისგან. ჯგუფმა გამოიყენა ფასს 9–ის გამარტივებული მიდგომა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვალა აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. უიმედო ვალების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სრული თანხის ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს.

გაუფასურება

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები) ჯგუფმა გამოითვალა 12–თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. 12–თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული კრედიტის საგარანტიო საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ვალდებულებები

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისა და მომხმარებელთა ანაბრებისგან, ასევე ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების წინაშე არსებული დავალიანების ნაშთებისგან.

შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარების შემდეგ ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ან სხვაგან ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაციის პროცესში.

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ი) იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები და აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას.

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი თავის ყველა სამეურნეო სუბიექტში იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის მოკლევადიანი იჯარების დროს (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). ჯგუფი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების იჯარიდან გამონაკლისს თავისი დაბალი ღირებულების მქონე იჯარებისთვის. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მუხლი მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკსა და სალაროში და მაღალლიკვიდურ მიმდინარე ანგარიშებს, რომელთა კონვერტაცია ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი გარკვეულ თანხად და რომელთა ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი არსებობს. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად.

ლ) ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში

შვილობილ საწარმოებში ინვესტიციები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მ) დასაქმებულთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 18 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“ - (ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის)

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“). ფასს 18 ადგენს მოგებისა და ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში განახორციელოს ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

სტანდარტი მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, პირველად ფინანსურ ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაბრებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის ჯგუფი მუშაობს ცვლილებების ყველა გავლენის გამოვლენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ფინანსურ ანგარიშგებებზე ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

ფასს (IFRS) 19 - „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - (ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის)

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს-ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10-ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს. ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც.

ჯგუფი არ მოელის, რომ უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს ფასს 19, რადგან აღნიშნული სტანდარტი ხელმისაწვდომია მხოლოდ საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების არმქონე შვილობილი საწარმოებისთვის, ხოლო ჯგუფი არ წარმოადგენს ისეთი საწარმოს შვილობილ საწარმოს, რომელიც საჯარო გამოყენებისთვის ამზადებს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

„ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების შესწორებები“ - (ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები) (ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის)

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში, ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შემდგომში „ცვლილებები“). ცვლილებები მოიცავს შემდეგს:

- განმარტებას, რომ ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება „საანგარიშსწორებო თარიღით“ და სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის შესაძლებლობა (თუ გარკვეული პირობები დაკმაყოფილდება), რომ დაფარული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა მოხდეს ელექტრონულ გადახდის სისტემაში საანგარიშსწორებო თარიღამდე;
- დამატებითი მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის და მსგავსი მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივებისთვის;
- განმარტებები იმისა, თუ რა წარმოადგენს „არარეგრესის მახასიათებლებს“ და რა თვისებები აქვს ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებს;
- განმარტებითი შენიშვნების დანერგვა პირობითი მახასიათებლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის და დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ცვლილებები ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება მხოლოდ ფინანსური აქტივების კლასიფიკაციებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენისთვის. ჯგუფი ამ ეტაპზე აფასებს იმას, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ცვლილებებმა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებები - მე-11 ტომი (ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის)

2024 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ვიწრო მოქმედების სფეროს მქონე ცხრა ცვლილება ფასს- ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების პერიოდული განახლების ფარგლებში. ცვლილებები მოიცავს განმარტებებს, გამარტივებებს და შესწორებებს ან ცვლილებებს, რათა გაუმჯობესდეს თანმიმდევრულობა ფასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“, ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ და მის თანმხლებ ინსტრუქციას ფასს 7-ისა და ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ და ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ გამოყენებაზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. უფრო ადრე გამოყენება ნებადართულია განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენის პირობით.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

„ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები“ - ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები (ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის).

2024 წლის დეკემბერში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში – „ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ხელშეკრულებები“. ცვლილებები ვრცელდება მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას; ეს ცვლილებები:

- აზუსტებს „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენებას ცვლილებების მოქმედების არეალში მოქცეული ხელშეკრულებების შემთხვევაში;
- ცვლის ჰეჯირებული მუხლის კლასიფიკაციის მოთხოვნებს ფულადი ნაკადების ჰეჯირების ურთიერთობის ფარგლებში ამ ცვლილებების მოქმედების არეალში მოქცეული ხელშეკრულებების შემთხვევაში;
- ამატებს ინფორმაციის გამჟღავნების ახლა მოთხოვნებს, რაც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ ამ ხელშეკრულებების გავლენაში კომპანიის ფინანსურ საქმიანობასა და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დაშვებულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ აუცილებელია შესაბამისი განმარტებების წარმოდგენა. ცვლილებები, რომლებიც ეხება საკუთარი მოხმარების გამონაკლისს, უნდა გამოყენებულ იქნეს რეტროსპექტიულად, ხოლო ჰეჯირების აღრიცხვის ცვლილებები უნდა გამოყენებულ იქნეს პერსპექტიულად ახალ ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომლებიც კლასიფიცირებულია სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან. გარდა ამისა, ფასს 7-ის ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ფასს 9-ის ცვლილებების პარალელურად. თუ საწარმო არ ახდენს შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებას, მას არ შეუძლია შესადარისი განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა.

ჯგუფის მოლოდინით, ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასების თანმხლები განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოთხოვნების რეზერვი

ჯგუფს აქვს მხოლოდ სავაჭრო მოთხოვნები დაფინანსების კომპონენტის გარეშე, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია. ჯგუფი ყველა თავისი სავაჭრო მოთხოვნის მიმართ იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ფასს 9–ით დაშვებულ გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, ჯგუფი, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი ზედმეტი დანახარჯების თუ ძალისხმევის გაწევის გარეშე, წარსული მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ.

ფინანსურ დაწესებულებებში განთავსებულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, ჯგუფის შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებითი არ არის.

5. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

კომპანიის ხელმძღვანელობამ საქმიანობის შეფასების საზომად წარმოადგინა EBITDA, რადგან ის ამ მაჩვენებელს მონიტორინგს უწევს და მიაჩნია, რომ ეს საზომი რელევანტურია ჯგუფის ფინანსური შედეგების შეფასებისთვის.

EBITDA არ წარმოადგენს ფასს–ით განსაზღვრულ ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებელს. ჯგუფის მიერ კორექტირებული EBITDA–ს განმარტება შესაძლოა არ იყოს შედარებადი საქმიანობის შედეგების ანალოგიური სახელწოდების საზომებთან და სხვა საწარმოების მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან.

EBITDA–ს შეჯერება წლის შემოსავალთან ასე გამოიყურება:

	შენიშვნა	*2025*	2024
წლის წმინდა მოგება		**184,561**	**169,920**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		6,937	6,608
ფინანსური დანახარჯები	11	321	213
ფინანსური შემოსავალი	9	(12,330)	(5,293)
მოგების გადასახადის ხარჯი	14	–	–
EBITDA		**179,489**	**171,448**

(ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	სატრანს-პორტო საშუალებები	*საოფისე აღჭურვი-ლობა*	*ავეჯი*	*საიჯარო ქონების გაუმჯობე-სება*	*სხვა*	*სულ*
თვითღირებულება						
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**380**	**4,587**	**319**	**116**	**358**	**5,760**
შესყიდვები	229	4,240	149	27	80	**4,725**
გასვლები	(52)	(923)	(6)	–	–	**(981)**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**557**	**7,904**	**462**	**143**	**438**	**9,504**
შესყიდვები	462	1,307	74	225	91	**2,159**
გასვლები	(73)	(57)	–	–	–	**(130)**
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**946**	**9,154**	**536**	**368**	**529**	**11,533**
ცვეთა						
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**81**	**2,033**	**132**	**4**	**237**	**2,487**
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	42	1,138	74	–	75	**1,329**
ჩამოწერის მომენტისთვის დაგროვილი ცვეთა	–	(524)	–	–	–	**(524)**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**123**	**2,647**	**206**	**4**	**312**	**3,292**
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	132	1,623	83	46	75	**1,959**
ჩამოწერის მომენტისთვის დაგროვილი ცვეთა	(73)	(9)	–	–	–	**(82)**
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**182**	**4,261**	**289**	**50**	**387**	**5,169**
წმინდა საღრიცხვო ღირებულება						
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**434**	**5,257**	**256**	**139**	**126**	**6,212**
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**764**	**4,893**	**247**	**318**	**142**	**6,364**

(ათას ლარში)

7. არამატერიალური აქტივები

	საკუთარი სახსრებით შექმნილი არამატერიალური აქტივები	*შეძენილი და გაუმჯობესებული არამატერიალური აქტივები*	*სხვა*	*სულ*
თვითღირებულება				
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,893**	**–**	**1,027**	**3,920**
შესყიდვები	4,592	5,094	2,145	11,831
გასვლები	(5,194)	–	(1,876)	(7,070)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,291**	**5,094**	**1,296**	**8,681**
შესყიდვები	2,601	2,505	390	5,496
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,892**	**7,599**	**1,686**	**14,177**
ამორტიზაცია				
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,155**	**–**	**281**	**1,436**
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	2,167	169	188	**2,524**
ჩამოწერის მომენტისთვის დაგროვილი ამორტიზაცია	(2,917)	–	(1)	(2,918)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**405**	**169**	**468**	**1,042**
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	1,293	978	213	2,484
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,698**	**1,147**	**681**	**3,526**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,886**	**4,925**	**828**	**7,639**
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,194**	**6,452**	**1,005**	**10,651**

8. სავაჭრო მოთხოვნები

	2025	*2024*
მოთხოვნები გადახდის მომსახურების მომწოდებლების მიმართ	8,380	7,422
სხვა მოთხოვნები	207	195
	8,587	**7,617**

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება და, როგორც წესი, 2–დან 5 დღემდე ვადაში იფარება. 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნა არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, ხოლო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის არსებითი.

(ათას ლარში)

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა:

	2025	*2024*
მიმდინარე ანგარიშები ბანკში		
ლარში გამოხატული	82,468	77,444
აშშ დოლარში გამოხატული	154	456
ევროში გამოხატული	63,849	54
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგში გამოხატული	13	14
	146,484	**77,968**
ფულადი სახსრები ოფისებს გარეთ		
ლარში გამოხატული	84	84
	84	**84**
	146,568	**78,052**

მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო შემოსავალი 12,330 ლარს გაუტოლდა 2025 წლის განმავლობაში (2024 წ.: 5,293 ლარი).

10. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 195 ლარს.

ინფორმაცია 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მფლობელობის სტრუქტურის შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

2025 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა და სრულად გადაიხადა 128,947 ლარის დივიდენდები (2024 წ.: 126,316 ლარი).

11. საიჯარო ვალდებულებები და აქტივები გამოყენების უფლებით

ჯგუფს საოფისე ფართების იჯარაზე გაფორმებული აქვს საიჯარო ხელშეკრულებები. ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. ზოგიერთი იჯარის ხელშეკრულება შეიცავს ვადის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის უფლებას. ჯგუფს გარკვეული შენობები 12 თვემდე ვადით აქვს იჯარით აღებული. ჯგუფი ამ იჯარებისთვის იყენებს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს.

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

	2025	*2024*
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	2,494	2,783
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	321	230
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი (შესული ადმინისტრაციულ ხარჯებში)	44	46
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	**2,859**	**3,059**

(ათას ლარში)

11. საიჯარო ვალდებულებები და აქტივები გამოყენების უფლებით (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების და აქტივების გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულებები და მათი ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

საიჯარო ვალდებულებები

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,042**
შესყიდვები	719
მოდიფიკაცია	2,517
მოგებაში და ზარალში ასახული საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	44
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	230
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდები	(1,641)
საიჯარო ვალდებულებაზე პროცენტის გადახდა	(230)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,681**
შესყიდვები	6,458
შეწყვეტა	(1,014)
მოგებაში და ზარალში ასახული საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	156
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	321
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდები	(1,422)
საიჯარო ვალდებულებაზე პროცენტის გადახდა	(321)
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,859**

აქტივის გამოყენების უფლება

საოფისე შენობები და სხვა უძრავი ქონება	*2025*	*2024*
1 იანვარი	**6,720**	**3,863**
შესყიდვები	6,430	2,857
გასვლები და შეწყვეტა	(5,589)	–
31 დეკემბერი	**7,561**	**6,720**
დაგროვილი ცვეთა		
1 იანვარი	**(4,342)**	**(1,587)**
ცვეთის ხარჯი	(2,494)	(2,755)
გასვლები და შეწყვეტა	5,502	–
31 დეკემბერი	**(1,334)**	**(4,342)**
წმინდა საღრიცხვო ღირებულება		
31 დეკემბერი	**6,227**	**2,378**

(ათას ლარში)

12. წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა ტოტალიზატორის 314 ლარის (2024 წ.: 223 ლარი) ღია პოზიცია. ტოტალიზატორის ღია პოზიციები წარმოადგენს მომხმარებლებისგან მიღებულ თანხებს იმ ღონისძიებებზე დადებული ფსონებიდან, რომლებიც წლის ბოლოსთვის ჯერ არ გამართულა. ასეთი პოზიციები არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და ჯგუფმა საწყისი აღიარებისას მიაკუთვნა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებს, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ თანხისგან, რომლის გადახდასაც ჯგუფი მოელის ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადის მოსვლისას. ტოტალიზატორის ფსონები უპროცენტოა, შესაბამისად ამ ნაშთებზე არ არსებობს საპროცენტო განაკვეთის ან საკრედიტო რისკები.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ასე გამოიყურებოდა:

	2025	*2024*
საპრიზო ფონდთან დაკავშირებული ვალდებულებები	30,121	16,851
დავალიანება მომწოდებლების წინაშე	5,016	4,710
დავალიანება ბანკების წინაშე მომხმარებელთა ანაბრებიდან გატანებისთვის	1,509	1,111
	36,646	**22,672**

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება და, ჩვეულებრივ, 10–დან 15 დღემდე ვადაში იფარება.

14. წინასწარ გადახდილი გადასახადები

2022 წლის 1 იანვრიდან, განაწილებული მოგების დაბეგვრის ნაცვლად, აზარტული თამაშობებიდან საერთო ამონაგები (ანუ სხვაობა მოთამაშეებისგან მიღებული ფსონების რაოდენობასა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის) ონლაინ სამორინეს თამაშობებიდან 20%–ით იბეგრება (2024 წელს: 15%).

2025 წელსა და 2024 წელს დივიდენდები არ დაიბეგრა მოგების გადასახადით.

15. ამონაგები და შემოსულობები

	2025	*2024*
შემოსულობა		
ონლაინ სლოტ თამაშები	389,896	332,167
ტოტალიზატორის საქმიანობა	76,280	65,188
ონლაინ სამორინეს თამაშები	19,197	20,198
ფიზიკური სამორინე	–	4
სულ შემოსულობა	**485,373**	**417,557**
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
ამონაგები ონლაინ პირინგული თამაშებიდან	4,614	4,374
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წამახალისებელი აქციების ზოგად დანახარჯებამდე	**489,987**	**421,931**
წამახალისებელი აქციების ზოგადი დანახარჯები	**(35,959)**	**(33,894)**
სულ ამონაგები	**454,028**	**388,037**

შემოსულობა აღირიცხება წამახალისებელი აქციების წმინდა დანახარჯების გამოკლებით.

(ათას ლარში)

15. ამონაგები და შემოსულობები (გაგრძელება)

სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი სხვა შემოსავალი წარმოადგენს მომხმარებელთა ოპერაციების საკომისიოს 16,519 ლარის ოდენობით (2024 წ.: 12,886 ლარი).

ამონაგების უმეტესი ნაწილი, საბოლოო ჯამში, მიიღება საქართველოში მყოფი ონლაინ მომხმარებლებისგან. ბიზნესოპერაციების ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს სახელშეკრულებო ნაშთები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2025	*2024*
გადასახადი აზარტული თამაშობებიდან საერთო ამონაგებზე	108,696	74,020
თამაშის პროვაიდერის ხარჯები	64,383	60,735
მომხმარებლებზე გაცემების საკომისიოები	40,830	35,086
ტოტალიზატორის გადასახადი	20,182	17,078
სხვა	863	2,663
	234,954	**189,582**

17. მარკეტინგის ხარჯი

	2025	*2024*
სარეკლამო ხარჯები	10,149	6,029
წამახალისებელი კამპანიების ხარჯები	4,519	1,711
სხვა მარკეტინგული ხარჯები	3,550	3,697
	18,218	**11,437**

18. სახელფასო ხარჯები

	2025	*2024*
თანამშრომელთა ხელფასები	18,026	13,728
თანამშრომელთა ბონუსები	4,294	3,090
დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	4,022	2,859
	26,342	**19,677**

19. სალიცენზიო, აზარტულ თამაშთან დაკავშირებული და მარეგულირებლის ხარჯები

	2025	*2024*
სათამაშო ბიზნესის ლიცენზიები და მოსაკრებლები	2,438	2,385
მარეგულირებლის მოსაკრებელი კონტროლის ერთიანი სისტემისთვის	2,403	2,065
თამაშის დანახარჯები ფიზიკური სამორინისთვის და სხვა თამაშების მოსაკრებელი	1,240	684
	6,081	**5,134**

2025 წელს ჯგუფმა 2,403 ლარის ოდენობის (2024 წ.: 2,065 ლარი) მარეგულირებლის მოსაკრებელი „შპს რენდომ სისტემს ჯორჯია“, ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობების მარეგულირებელს, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დანიშნა „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესვლის შემდეგ.

(ათას ლარში)

20. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	2025	*2024*
კავშირგაბმულობის ხარჯები	1,066	659
იურიდიული, აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების გასამრჯელო	1,034	434
საიჯარო ხარჯი	515	422
ტრანსპორტირების ხარჯი	343	332
წარმომადგენლობითი ხარჯები	250	158
საოფისე, საკანცელარიო საქონელი	191	227
სხვა მომსახურების გასამრჯელო	115	67
სხვა სალიცენზიო გადასახადები	55	50
საბანკო მომსახურების ღირებულება	33	29
კომუნალური ხარჯები	22	13
სხვა საოპერაციო ხარჯები	245	127
	3,869	**2,518**

ჯგუფის აუდიტორის გასამრჯელო 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს 251 ლარს (დღგ–ის გარეშე) (2024 წ.: 263 ლარი) და ასახულია იურიდიული, აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების გასამრჯელოში.

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფს თავისი საქმიანობით ექმნება რისკები, რომლებიც წარმოეშობა თავისი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც წარმოიქმნება ფინანსური რისკი:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- სავაჭრო მოთხოვნები;
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- მომხმარებელთა ანაბრები;
- საიჯარო ვალდებულებები;
- წარმოებული ფინანსური ვალდებულებები.

წარმოებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

საკრედიტო რისკი

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად, უკავშირდება სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთა დიდი ნაწილი მისაღებია ჯგუფის გადახდის მომსახურების პროვაიდერებისგან და ფინანსური დაწესებულებებისგან. ესენია მესამე მხარე კომპანიები, რომლებიც ხელს უწყობენ ჯგუფში მომხმარებლების ვირტუალურ საფულეზე თანხების განთავსებას და საფულიდან თანხების გამოტანას. ეს კომპანიები, ძირითადად, შუამავლები არიან, რომლებიც ოპერაციებს აწარმოებენ საკრედიტო ბარათის კომპანიების სახელით.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

რისკი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლოა გადახდის მომსახურების ოპერატორმა ვერ შეძლოს ვალდებულების შესრულება ჯგუფის მიმართ არსებული დავალიანების ნაშთთან დაკავშირებით. ჯგუფი საკრედიტო რისკს შემდეგნაირად ამცირებს:

- რეგულარულად ახდენს გადახდის მომსახურების ოპერატორების ნაშთების მონიტორინგს;
- ცდილობს ფულადი ანგარიშსწორება მოხდეს უმოკლეს შესაძლო ინტერვალში;
- ზრუნავს იმაზე, რომ გადახდის მომსახურების პროვაიდერებთან ხელშეკრულება გაფორმდეს მხოლოდ სხვადასხვა შემოწმებისა და „იცნობდე შენს კლიენტს“ პროცედურების ჩატარების შემდეგ;
- უზრუნველყოფს ისეთი პოლიტიკის არსებობას, რომელიც ამცირებს დამოკიდებულებას რომელიმე კონკრეტულ გადახდის მომსახურების პროვაიდერზე და ამ გზით ამცირებს კონცენტრაციის რისკს.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან და დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჯგუფს მიაჩნია, რომ გადახდის მომსახურების პროვაიდერების მიმართ მოთხოვნებს კარგი საკრედიტო ხარისხი აქვს და წლის ბოლოსთვის პოტენციური უიმედო ვალების დონე დაბალი იქნება.

ჯგუფის თაღლითობისა და რისკის მართვის შიდა განყოფილება ყურადღებით აკონტროლებს ფულის განთავსება–გატანას, რისთვისაც ასრულებს პრევენციისა და დადასტურების პროცედურებს.

გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს მესამე პირებზე გაცემულ სესხებს, ძირითადად ჯგუფის ბიზნესის განვითარების საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული სესხებისთვის ჯგუფს არ გააჩნია შიდა საკრედიტო რეიტინგების სისტემა და მათი ამოღებადობის შეფასებას ინდივიდუალურად ახორციელებს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები არ იყო არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ჯგუფს თავისი ფულადი სახსრების უმეტესობა განთავსებული აქვს ავტორიტეტულ ფინანსურ დაწესებულებებში, რომელთა მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი „B“ არის, სარეიტინგო სააგენტო Fitch–ის მიხედვით. ჯგუფს ნაღდი ფულის რეზერვები განთავსებულია აქვს მაღალი ლიკვიდობის მქონე მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრებზე და რეგულარულად ახდენს საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს, რათა მოახდინოს შემოსავლის მაქსიმიზაცია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების, მაგალითად, სავალუტო კურსების, საპროცენტო განაკვეთების და აქციების კურსების, ცვალებადობა გავლენას მოახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის დონის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, უკუგების ოპტიმიზაცია.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკს განაპირობებს მხოლოდ პროცენტიანი ანაბრები, რომლებშიც ჯგუფი აბანდებს თავის ნამეტ თანხებს.

ჯგუფის პოლიტიკაა, ნამეტი თანხების დაბანდება პროცენტიან საბანკო ანგარიშებში. ჯგუფი ზედმეტ თანხებს განათავსებს ამ პროცენტიან ანგარიშებზე თავის საბანკო მომსახურების ძირითად მომწოდებელთან.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. სავალუტო კურსების მერყეობის მიმართ ჯგუფის რისკის მოცულობა ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ჯგუფის ვალდებულებებს.

ჯგუფი ხელშეკრულებებს აფორმებს აშშ დოლარში, ევროსა და ლარში. ჯგუფი არ იყენებს სავალუტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომ დააზღვიოს მომავალი ოპერაციები და ფულადი ნაკადები.

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები ძირითადად ადგილობრივ ვალუტაში ან ევროშია გამოხატული. ამრიგად, ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ნაშთები ევროში, რომელთა მიმართებითაც ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე:

	ევრო		*აშშ დოლარი*	
	2025	***2024***	***2025***	***2024***
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	63,849	54	154	456
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(285)	(312)	(35)	(1,229)
საიჯარო ვალდებულებები	(5,781)	(1,847)	(1,078)	(834)
ნეტო პოზიცია	**57,783**	**(2,105)**	**(959)**	**(1,607)**

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება–ზარალის ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ან საკუთარ კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

	გამყარება	*გაუფასურება*
2025 წლის 31 დეკემბერი		
ევრო (16%–იანი ცვლილება)	(9,245)	9,245
აშშ დოლარი (16%–იანი ცვლილება)	153	(153)
2024 წლის 31 დეკემბერი		
ევრო (16%–იანი ცვლილება)	337	(337)
აშშ დოლარი (16%–იანი ცვლილება)	257	(257)

ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმის რისკს, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან.

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

(ათას ლარში)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მხოლოდ სავაჭრო და სხვა ვალდებულებებითა და წარმოებული ინსტრუმენტებით, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება და რომელთა საშუალო ვადა 10–15 დღეა.

კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომელიც განიმარტება, როგორც საკუთარი კაპიტალი ფასს–ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, რათა დააკმაყოფილოს ჯგუფის სტრატეგიული მიზნები. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და ჯგუფის ამონაგებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგით.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვისადმი ჯგუფის მიდგომა არ შეცვლილა. ჯგუფზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულების წინასწარი შეფასების მიზანია იმ მიახლოებული თანხის მიღება, რადაც ფინანსური ინსტრუმენტი გადაიცვლებოდა ინფორმირებულ და მოსურნე მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული ოპერაციისას. თუმცა, განუსაზღვრელობისა და სუბიექტური განსჯის გამოყენების გამო, სამართლიანი ღირებულება არ უნდა აღიქმებოდეს ისე, თითქოს რეალიზებადია აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვისა თუ ვალდებულებების დაფარვისთანავე.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე–2 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1–ელი დონით არის შეფასებული.

23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24–ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

საინვესტიციო ოპერაციები

2025 წლის განმავლობაში, კომპანიამ თავისი უცხოური შვილობილი საწარმოების კაპიტალში დამატებით 2,539 ლარის შენატანი განახორციელა.

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ 2025 წლის განმავლობაში მიიღო 2,511 ლარი ანაზღაურების სახით (2024 წ.: 1,837 ლარი), რომელიც აისახა სახელფასო ხარჯებში.

(ათას ლარში)

24. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

ჯგუფმა გამოაცხადა დივიდენდები 50,000 ლარის ოდენობით 2026 წლის 2 მარტს და 50,000 ლარის ოდენობით 1 ივნისს.

შპს „ფულ ჰაუსი“

2025

წლის მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ფულ ჰაუსი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით 405143303 რეგისტრირებულია 2016 წლის 31 მარტს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ატენის 16ა.

კომპანიას სრულად (100%-ით) ეკუთვნის Softmasters N.V., რომელიც ფლობს #143633 სათამაშო ლიცენზიას (კიურასაოს კანონმდებლობის შესაბამისად). 2024 წლის 3 ოქტომბერს კომპანიამ დააფუძნა უცხოური საწარმო „Full House Global“ — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით უზბეკეთის რესპუბლიკაში, 100%-იანი მონაწილეობით. 2025 წლის განმავლობაში ჯგუფმა დააფუძნა შემდეგი შვილობილები: Crocobet Romania S.R.L. (100%), Malta IP Management Group Limited (100%), Crocobet Digital d.o.o., სერბეთი (100%) და Full House Management Group Sp. z o.o., პოლონეთი (95%).

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის შვილობილი საწარმოები:

შვილობილი	წილი, %	დაფუძნების წელი	ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა
Softmasters N.V.	100%	2017	კიურასაო	აზარტული და სანაძლეო საქმიანობა
Full House Global FE LLC	100%	2024	უზბეკეთი	საქმიანობა დაფუძნებიდან არ დაწყებულა
Crocobet Romania S.R.L.	100%	2025	რუმინეთი	აზარტული და სანაძლეო საქმიანობა
Malta IP Management Group Limited	100%	2025	მალტა	ჰოლდინგური საქმიანობა
Crocobet Digital d.o.o.	100%	2025	სერბეთი	აზარტული და სანაძლეო საქმიანობა (საქმიანობა არ დაწყებულა)
Full House Management Group Sp. z o.o.	95%	2025	პოლონეთი	ჰოლდინგური საქმიანობა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას (ერთობლივად — „ჯგუფი“). ანგარიშგება მომზადებულია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოცემული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად და წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში.

კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურა 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მფლობელები	2025 წ. საკუთრების წილი, %	2024 წ. საკუთრების წილი, %
თემურ მიქელაძე, საქართველოს მოქალაქე	35.00%	35.00%
ნორბერტ ფრანც ტეუფელბერგერი, ავსტრიის მოქალაქე	16.67%	16.67%
გიგი ლევი-ვაისი, ისრაელის მოქალაქე	16.67%	16.67%
მანფრედ ბოდნერი, ავსტრიის მოქალაქე	16.66%	16.66%
კლაუს ჯემალ რასმუსენი, დანიის მოქალაქე	2.50%	2.50%
მიჰალი გლოვაცკი	2.50%	2.50%
გურამ დოლიძე, საქართველოს მოქალაქე	2.50%	2.50%
ზურაბ ერქომაიშვილი, საქართველოს მოქალაქე	2.50%	2.50%
ბაკურ ხარჩილავა, საქართველოს მოქალაქე	2.50%	2.50%
გიორგი ბარნაბიშვილი, საქართველოს მოქალაქე	2.50%	2.50%
სულ	**100.00%**	**100.00%**

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ონლაინ აზარტული თამაშობებია.

ჯგუფის მთავარი პროდუქტებია: ონლაინ სლოტები, ონლაინ გეიმინგი, ონლაინ ტოტალიზატორი, ონლაინ სამორინე და პირინგული თამაშები.

ჯგუფი თავის მომხმარებლებს ონლაინ თამაშის პლატფორმას სთავაზობს ვებგვერდის: www.crocobet.com მეშვეობით და ფუნქციონირებს საფირმო სახელწოდებით „კროკობეთი“.

ჯგუფი მუშაობს ონლაინ სეგმენტზე ფიზიკური სლოტ კლუბის და ტოტალიზატორის მეშვეობით.

2023 წლის 22 დეკემბერს, შემოსავლების სამსახურმა გასცა ნებართვა ფიზიკური სათამაშო ობიექტისა და კაზინოს გახსნაზე ქალაქ წყალტუბოში, ტაბიძის #1

ბიზნეს გარემო - მიმოხილვა

სათამაშო ბიზნესი საქართველოში საკმაოდ კარგად არის განვითარებული და ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორს წარმოადგენს

სათამაშო ბიზნესის ეკონომიკური სარგებელი:

- მეტი სამუშაო ადგილი
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავალი ბევრი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილია

- სათამაშო ბიზნესი ტურიზმის განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ტურიზმი კი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია.

აღნიშნულ სეგმენტზე გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, ასევე საკანონმდებლო ცვლილებები მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან.

საქმიანობის მოდელი

ჯგუფის მიერ შეთავაზებული მომსახურება მოიცავს ონლაინ თამაშობებს — სლოტებს, სამორინეს, პირინგულ თამაშებსა და სპორტულ ფსონებს; ამასთან, ჯგუფი ოპერირებს ფიზიკურ სლოტ კლუბსა და ტოტალიზატორის ობიექტს.

სპორტულ ფსონებსა და სლოტებზე დაფუძნებული საქმიანობა ფასს-ის მიზნებისთვის კლასიფიცირდება წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად: ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შეფასებით წარმოქმნილი და რეალიზებული შედეგი აისახება შემოსავალში, როგორც ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ნაწილი.

სამორინის მიმართულებით შემოსავალს წარმოადგენს მოთამაშეთა მიერ განთავსებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, პირინგულ თამაშებში — საკომისიო (rake), რომელიც აღიარდება თითოეული გათამაშების მომენტში, ხოლო ზოგადი საქმიანობიდან — მომხმარებელთა ტრანზაქციული და პირინგული გადარიცხვების საკომისიოები. ყველა მიმართულებით შემოსავალი წარმოდგენილია პერიოდის განმავლობაში გაწეული პრომო-აქციების ღირებულების გამოკლებით.

ბაზრის მიმოხილვა

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში და ბუნებრივია მასზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები.

ქართული ბაზარი ონლაინ -თამაშობების სეგმენტში ხასიათდება მზარდი კონკურენციით. აღნიშნულ სეგმენტში Crocobet თან ერთად 2025 წლის განმავლობაში საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი ძირითადი მოთამაშეები:

- Crystalbet
- Adjarabet
- Lider-bet
- Betlive
- Europe-bet

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვილილებათა ცოდნის სიღრმე განსაზღვრავს ბაზარზე მის ქცევას. სწრაფად ცვალებად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში კომპანია განუწყვეტლივ ცდილობს შესთავაზოს საკუთარ მომხმარებლებს ინოვაციური პროდუქტები და მიდგომები.

კომპანიისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს:

- უწყვეტ რეჟიმში პროდუქტის ხელმისაწვდომობა, სისწრაფე, მოქნილობა (აპლიკაციები, რეგისტრაცია)
- თამაშობების მრავალფეროვნება
- ფულადი სახსრების მოძრაობის მხრივ უსაფრთხოება, ხელმისაწვდომობა, სიმარტივე, სანდოობა და მოძრაობის არხების გაფართოება
- უსაფრთხო ონლაინ გარემო
- ინფორმაციის კონფიდენციალურობა
- არსებული პროდუქციის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება
- მომხმარებლებისათვის ახალი პროდუქტების შეთავაზება

საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები

სათამაშო ბიზნესს არეგულირებს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის N611-1013 ერთობლივი ბრძანება;
7. „საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“;
8. „შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობების, მათი ოდენობების, გადახდის პერიოდულობისა და წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის N455 დადგენილება;
9. „კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების მიზნით, თამაშობის ორგანიზატორის/ნებართვის მაძიებლის, თამაშების მიმწოდებლის/ნებართვის მაძიებლისა და შერჩეული პირის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 სექტემბრის N605 დადგენილება;

10. „ავტორიზაციის წესის, ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის N239 ბრძანება;
11. „სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის მიმართ მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის N240 ბრძანება'
12. „მოთხოვნების/სტანდარტების, დადგენის/სამოქმედოდ შემოღების შესახებ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მაძიებლის/ნებართვის მფლობელის მიერ თავის საქმიანობაში გამოსაყენებელი/ გამოყენებული არსებითი პროდუქცია/მომსახურება,POS ტერმინალი ან/და ნებისმიერი სხვა მოწყობილობა“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N243 ბრძანება;
13. „ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში თანხის ანგარიშზე შეტანის და ანგარიშიდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის N41 ბრძანება;
14. „სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ მოთამაშის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 26 თებერვლის N43 ბრძანება.

მარეგულირებელი ორგანო

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ონლაინ სათამაშო საქმიანობის მარეგულირებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულია შპს „ერთიანი კონტროლის სისტემა“, რომლის მომსახურების საფასურსაც ჯგუფი იხდის სალიცენზიო და აზარტულ სათამაშო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ კომპანიას, შესაბამისად მისი საგადასახადო პოლიტიკა და სტრუქტურაც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2025 წელს კომპანიამ ბიუჯეტში ჯამურად გადაიხადა 220’921 მილიონი ლარი.

კომპანიას განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე ეკისრება შემდეგი ტიპის გადასახადები:

ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი:

მოგების გადასახადის მიზნებისათვის კომპანიას გააჩნია როგორც ჩვეულებრივი წესით დასაბეგრი ოპერაციები, ასევე სპეციალური წესით დასაბეგრი ოპერაციები და გადასახადისაგან გათავისუფლებული ოპერაციები (ოფლაინ ტოტალიზატორი და სათამაშო აპარატების სალონი).

სპეციალური წესით იბეგრება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობიდან მიღებული შემოსავლები საქართველოს საგადასახადო კოდესისს 309-ე მუხლის მე-16 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ: „ტოტალიზატორის სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით. ამ შემთხვევაში პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს დეკლარაცია და იმავე ვადაში გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტით მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა მათ მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა) განაწილება.

მოგების გადასახადი:

2017 წლის იანვრიდან მოქმედი კანონმდებლობის (ე.წ ესტონური მოდელი) შესაბამისად მოგების გადასახადის დაბეგვრის ძირითად ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება, რომელიც იანგარიშება განაწილებული მოგების 0,85 ზე გაყოფით, ამასთან მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%.

კაზინოს მოგების გადასახადი:

2024 წლის 01 იანვრიდან აზარტული თამაშობის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, ე.წ GGR-ი. 2025 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლითაც სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის მომწყობ პირთათვის მოგების გადასახადის განაკვეთი ნაცვლად 15 პროცენტისა განისაზღვრა 20 პროცენტი.

არარეზიდენტ მოთამაშეთა მონაწილეობის დაბეგვრა:

2024 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან თამაშობებში არარეზიდენტ პირთა მონაწილეობით მიღებული შემოსავალი იბეგრება GGR-ის 5%-იანი განაკვეთით (მანამდე მოქმედი, აზარტულ თამაშობებზე 15%-იანი და ტოტალიზატორზე 7%-იანი განაკვეთების ნაცვლად), ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხები გათავისუფლებულია დაბეგვრისგან.

სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხის დაბეგვრა:

სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის მომწყობი პირი ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია მოთამაშისთვის სათამაშო ანგარიშიდან თანხის გაცემისას; დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს მოთამაშის მიერ ანგარიშიდან გატანილი თანხა.

საშემოსავლო გადასახადი:

1. 20% იანი განაკვეთით დასაბეგერი ოპერაციებია:

- დაქირავებულ პირთათვის ხელფასის სახით გაცემული ანაზღაურება
- ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირების მომსახურების ანაზღაურება
- მომხმარებლებზე გაცემული პრიზები და სარგებლები

2. არარეზიდენტის შემოსავალი შესაძლებელია დაექვემდებაროს დაბეგვრას გადახდის წყაროსთან 15%-იანი, 10%-იანი, 5%-იანი და 0% -იანი განაკვეთით. დაბგვრისას გაითვალისწინება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები და მათი გამოყენების წესი

3. დივიდენდი - 5% ; 0%

საპენსიო ანარიცხი:

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. საპენსიო შენატანის გადახდა ევალება ყველა დასაქმებულს და მის სასარგებლოდ ყველა დამსაქმებელს და სახელმწიფოს. თავად დასაქმებული ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე თითოეულს: დამსაქმებელს და სახელმწიფოს, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2%.

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი):

კომპანია ახორციელებს:

- 18%-ით დასაბეგრ ოპერაციებს
- ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებს

სათამაშო მომსახურების მიმწოდებლებისგან შეძენილ მომსახურებაზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება ჩათვლას საგადასახადო ორგანოსგან.

ქონების გადასახადი:

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და ა შ. ქონების გადასახადი ანგარიშდება ზემოაღნიშნული ქონების წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან არა უმეტეს 1%-ის ოდენობით.

წამახალისებელი გათამაშების მოსაკრებელი:

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელებისთვის მოსაკრებელი საპრიზო ფონდის 10%-ის ოდენობით განისაზღვრება.

სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლები:

„სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სათამაშო კომპანიების მიერ გადასახდელ სალიცენზიო მოსაკრებლებს. მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია: სამორინის მოწყობა; სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა; ტოტალიზატორის მოწყობა; წამახალისებელი გათამაშების მოწყობა. 2024 წლის 1 ივნისიდან ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად, გადაისინჯა სალიცენზიო მოსაკრებლების ოდენობები ყველა სახის აზარტული საქმიანობისთვის, გარდა წამახალისებელი გათამაშებისა.

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის 2025 წლის სრული ფინანსური მონაცემები - მათ შორის ფინანსური უწყისები, კონკრეტული პუნქტების შესაბამისი თანხობრივი მონაცემები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები დეტალურად მოცემულია 2025 წლის აუდიტირებულ ანგარიშგებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	2025	**2024**	**2025**	**2024**
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6,364	6,212	6,364	6,212
არამატერიალური აქტივები	10,651	7,639	10,651	7,639
აქტივის გამოყენების უფლება	6,227	2,378	6,227	2,378
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	2,539	–	–	–
გაცემული სესხები	–	–	1,715	–
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	260	260	455	260
სულ გრძელვადიანი აქტივები	**26,041**	**16,489**	**25,412**	**16,489**
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	2,060	449	2,060	449
მოთხოვნები	8,580	7,617	8,587	7,617
წინასწარ გადახდილი გადასახადები	–	1,291	6	1,291
გადახდილი ავანსები	2,978	1,701	2,978	1,701
წინასწარ გადახდილი სალიცენზიო და აზარტული თამაშობების მოსაკრებელი	1,224	1,220	1,239	1,220
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	146,455	78,052	146,568	78,052
სულ მოკლევადიანი აქტივები	**161,297**	**90,330**	**161,438**	**90,330**
სულ აქტივები	**187,338**	**106,819**	**186,850**	**106,819**
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	195	195	195	195
გაუნაწილებელი მოგება	134,987	78,826	134,440	78,826
სულ საკუთარი კაპიტალი	**135,182**	**79,021**	**134,635**	**79,021**

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	2025	**2024**	**2025**	**2024**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	3,593	2,119	3,593	2,119
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**3,593**	**2,119**	**3,593**	**2,119**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36,587	22,672	36,646	22,672
საგადასახადო დავალიანება	3,373	–	3,373	–
საიჯარო ვალდებულებები	3,266	562	3,266	562
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	314	223	314	223
მომხმარებელთა ნაშთები	5,023	2,222	5,023	2,222
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**48,563**	**25,679**	**48,622**	**25,679**
სულ ვალდებულებები	**52,156**	**27,798**	**52,215**	**27,798**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**187,338**	**106,819**	**186,850**	**106,819**

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	2025	**2024**	**2025**	**2024**
ამონაგები და შემოსულობები	454,028	388,037	454,028	388,037
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(234,954)	(189,582)	(234,954)	(189,582)
საერთო მოგება	**219,074**	**198,455**	**219,074**	**198,455**
სხვა შემოსავალი	16,519	12,886	16,519	12,886
მარკეტინგის ხარჯი	(18,218)	(11,437)	(18,218)	(11,437)
სახელფასო ხარჯები	(26,342)	(19,677)	(26,342)	(19,677)
სალიცენზიო და აზარტულ სათამაშო საქმიანობასთან	(6,081)	(5,134)	(6,081)	(5,134)

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	2025	**2024**	**2025**	**2024**
დაკავშირებული ხარჯები				
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(3,738)	(2,518)	(3,869)	(2,518)
საოპერაციო ხარჯები	(2,359)	(1,632)	(2,820)	(1,632)
სულ საოპერაციო ხარჯები*	**(40,219)**	**(27,512)**	**(40,811)**	**(27,512)**
ცვეთა და ამორტიზაცია	(6,937)	(6,608)	(6,937)	(6,608)
საოპერაციო მოგება	**171,918**	**164,335**	**171,326**	**164,335**
ფინანსური შემოსავალი	12,329	5,293	12,330	5,293
ფინანსური დანახარჯები	(321)	(230)	(321)	(230)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,413	616	1,413	616
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი), წმინდა	(231)	(94)	(187)	(94)
დასაბეგრი მოგება	**185,108**	**169,920**	**184,561**	**169,920**
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–	–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**185,108**	**169,920**	**184,561**	**169,920**

შემოსავლის სტრუქტურა

	2025	**2024**
სლოტები (ონლაინ)	389,896	332,167
ონლაინ კაზინო	19,197	20,198
ტოტალიზატორი (სპორტული ფსონები)	76,280	65,188
ფიზიკური კაზინო	–	4
სულ შემოსულობები	**485,373**	**417,557**
შემოსავალი პირინგული (P2P) თამაშებიდან	4,614	4,374
სულ ამონაგები კონტრაქტებიდან	**489,987**	**421,931**
ზოგადი პრომო-აქციების ღირებულება	(35,959)	(33,894)
სულ ამონაგები და შემოსულობები	**454,028**	**388,037**

EBITDA (ჯგუფი)

	2025	2024
წლის მოგება	**184,561**	**169,920**
ცვეთა და ამორტიზაცია	6,937	6,608
ფინანსური დანახარჯები	321	213
ფინანსური შემოსავალი	(12,330)	(5,293)
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–
EBITDA	**179,489**	**171,448**

ფულადი ნაკადები

	ინდივიდუალური		კონსოლიდირებული	
	2025	2024	2025	2024
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	208,502	195,300	208,469	195,300
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(9,645)	(16,541)	(9,498)	(16,541)
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(130,369)	(127,957)	(130,369)	(127,957)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	**68,488**	**50,802**	**68,602**	**50,802**
ფულადი სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით	78,052	27,128	78,052	27,128
საკურსო სხვაობის გავლენა	(85)	122	(86)	122
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**146,455**	**78,052**	**146,568**	**78,052**

ორგანიზაციული კულტურა

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

კომპანია ცდილობს ისეთი პროცედურების დანერგვას, რომლებიც ზრდის სწორი თანამშრომლის შერჩევის შესაძლებლობას, რომელიც გათვლილია გრძელვადიან ურთიერთობაზე. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლებისთვის შექმნას, კარიერული განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობა უსაფრთხო, ჯანსაღი და კომფორტულ სამუშაო გარემო. უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლებით.

თანამშრომელთა ანაზღაურების პაკეტი მოიცავს ხელფასს, ბონუსებსა და სხვა სახის სარგებლებს, მათ შორის ანაზღაურებად შვებულებასა და საავადმყოფო ფურცელს; აღნიშნული სარგებლები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვადასხვა ასაკის, გენდერის და სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დასაქმებას

კომპანიის ძირითადი რისკები

კომპანიის სპეციფიკისა და სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის მახასიათებლებიდან გამომდინარე შპს „ფულ ჰაუსის “-ს წინაშე არსებული საკვანძო რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მოთხოვნები წარმოქმნილია მყარი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, რომელიც ახორციელებენ ორგანიზაციის ფულადი სახსრების მიღებას მომხმარებელბისგან და შემდგომ მათ ასახვას ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებზე ერთ, სამ ან ხუთ სამუშაო დღეში. აღნიშნული კონტროლები ამცირებს საკრედიტო რისკებს.

მოთხოვნების ძირითადი ნაწილი წარმოიშობა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების (PSP) და ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებელთა ვირტუალურ საფულეებზე თანხის შეტანასა და მისგან გატანას. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ პროვაიდერმა ვერ შეასრულოს ჯგუფის წინაშე ნაკისრი ვალდებულება. ამ რისკის შესამცირებლად ჯგუფი:

- რეგულარულად აკონტროლებს პროვაიდერებთან არსებულ ნაშთებს;
- უზრუნველყოფს ანგარიშსწორების მაქსიმალურად მოკლე ინტერვალებს;
- ახალ პროვაიდერთან ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ შესაბამისი შემოწმებისა და „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC) პროცედურების შემდეგ;
- იყენებს პოლიტიკას, რომელიც ამცირებს დამოკიდებულებას რომელიმე კონკრეტულ პროვაიდერზე და ზღუდავს რისკის კონცენტრაციას.

ჯგუფის შიდა თაღლითობისა და რისკის მართვის სამსახური სპეციალური პრევენციული და ვერიფიკაციის პროცედურების მეშვეობით აკონტროლებს მომხმარებელთა მიერ თანხების შეტანასა და გატანას.

ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს ჯგუფი განათავსებს მაღალი რეპუტაციის ფინანსურ ინსტიტუტებში, რომელთა მოკლევადიანი საკრედიტო რეიტინგი Fitch-ის შკალით შეადგენს B-ს.

სახსრები ინახება მაღალლიკვიდურ მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე, ხოლო საპროცენტო განაკვეთები რეგულარულად მონიტორინგდება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ლიკვიდურობის მართვა ეფუძნება მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი ფულადი ნაკადების პროგნოზების შეფასებას, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ნაკადების მონიტორინგსა და ფულადი რესურსების ვალდებულებათა ვადიანობის პროფილთან შესაბამისობაში მოყვანას. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შემოიფარგლება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებითა და წარმოებული ინსტრუმენტებით, რომლებიც არ არის პროცენტის მატარებელი და იფარება, ჩვეულებრივ, 10-15 დღის ვადაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია მიღებული საქონლის და მომსახურების შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში.

ჯგუფი ხელშეკრულებებს დებს აშშ დოლარში, ევროსა და ლარში; სავალუტო რისკზე ექსპოზიცია ძირითადად უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ვალდებულებებს უკავშირდება. ჯგუფი არ იყენებს ვალუტის წარმოებულ ინსტრუმენტებს სამომავლო ოპერაციებისა და ფულადი ნაკადების ჰეჯირებისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფის ექსპოზიცია საპროცენტო განაკვეთის რისკზე შემოიფარგლება პროცენტის მატარებელი დეპოზიტებით, რომლებზეც განთავსებულია თავისუფალი ფულადი სახსრები. ჯგუფის პოლიტიკაა ჭარბი სახსრების განთავსება პროცენტის მატარებელ საბანკო ანგარიშებზე ძირითად მომსახურე ბანკებთან.

IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი

ზოგადად ონლაინ სათამაშო ბიზნესი ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით.

კომპანიის რისკების შემცირების სტრატეგიები მოიცავს:

- ლეპ-ტოპებისა და დესკ-ტოპების დაცვას
- მონაცემების უსაფრთხოდ შენახვას

- ინტერნეტთან წვდომის სტრატეგიის ქონას
- ქსელების დაცვას
- სერვერების დაცვა
- შესაფერისი და დროული IT მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას

კომპანიაში მიღებულია ყველა შესაბამისი ზომა იმისთვის, რომ თითოეული მომხმარებლისათვის ვებ-გვერდზე ვიზიტი მაქსიმალურად უსაფრთხო იყოს.

კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალიზებული პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ინარჩუნებს კაპიტალის საკმარის ბაზას — განსაზღვრულს ფასს-ის მიხედვით აღრიცხულ საკუთარ კაპიტალად — ჯგუფის სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტიანი მართვითა და შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგით. საანგარიშგებო პერიოდში კაპიტალის მართვის მიდგომა არ შეცვლილა; ჯგუფი არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

სამომავლო გეგმები და მიზნები

შპს „ფულ ჰაუსის “მიზანია მომავალში მომხმარებლისთვის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება, შესაბამისად კომპანია მუდმივად ახალი სტრატეგიული პროექტების დანერგვის და განვითარების შესაძლებლობების ძიებაშია

2025 წლის განმავლობაში ჯგუფის საერთაშორისო სტრუქტურა გაფართოვდა: დაფუძნდა შვილობილი საწარმოები რუმინეთში, მალტაზე, სერბეთსა და პოლონეთში, რომელთა ძირითადი საქმიანობაა აზარტული და სანაძლეო, ასევე ჰოლდინგური საქმიანობა (იხ. თავი „ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ“).

2025 წელს ამოქმედდა ცვლილებები სათამაშო ბიზნესში

კერძოდ:

2025 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლითაც სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის მომწყობ პირთათვის მოგების გადასახადის განაკვეთი ნაცვლად 15 პროცენტისა განისაზღვრა 20 პროცენტი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჯგუფმა გამოაცხადა დივიდენდები 50,000 ლარის ოდენობით 2026 წლის 2 მარტს და 50,000 ლარის ოდენობით 1 ივნისს.

დირექტორი
გია დუმბაძე
თარიღი: 31 ივლისი 2026



საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჯგუფმა გამოაცხადა დივიდენდები 50,000 ლარის ოდენობით 2026 წლის 2 მარტს და 50,000 ლარის ოდენობით 1 ივნისს.

დირექტორი

გია დუმბაძე

თარიღი: 31 ივლისი 2026